

მხატვრული ტექსტი და აფხაზ მუჰაჯირთა ცხოვრების ქრონიკები

ბათუმიდან ადაფაზარამდე

(ანზორ კუდბას მოთხრობა „გზა“)

ჩოხარაძე მალხაზ

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი

<https://doi.org/10.52340/idw.2025.60>

აბსტრაქტი. ანზორ კუდბა მე-19 საუკუნის შუა ხანებში აჭარაში დასახლებულ აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავალია. მწერლის რომანებსა და მოთხრობებში ასახულია წინარე ეპოქების თუ თანამედროვე საქართველოს პრობლემები, ასევე ამ პრობლემათა წინაშე მდგარი ადამიანის ურთულესი სულიერი სამყარო.

მოთხრობა „გზა“ დაბეჭდილია 2015 წელს გამოცემულ კრებულში „დიდი წვიმის სიმფონია“. ეს მოთხრობა აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლების, მათ შორის, ბათუმელი აფხაზების ცხოვრებას ეხება. მოთხრობის ნარატივი ზეპირი ისტორიების ფრაგმენტებს ემყარება. რეალობის მხატვრული ინტერპრეტაცია წარმოდგენილია მსუბუქი ემოციით, ზედმეტი დეტალიზების გარეშე. თითქოს ავტორი ცდილობს, მკითხველს წარსულის სურათები დაუხატოს ისე, როგორც რეალურ ცხოვრებაში შემორჩა თაობათა მეხსიერებას. შესაბამისად, მხატვრული გამონაგონის მოცულობა და ფუნქცია მინიმუმამდეა დაყვანილი.

„გზა“-ში ბათუმელი აფხაზების და კონკრეტულად კუდბების ამბავს თავად ავტორი მოგვითხრობს. ამ შემთხვევაში რეალურია გარემოც, დროც და, ძირითადად, ამბავიც. მოთხრობელი წინაპრებისა და თავისი ცხოვრების შესახებ გვიამბობს. უფრო ზუსტად, ამ ცხოვრების ცალკეულ ფრაგმენტებს გვაცნობს. ფრაგმენტების დრო და სივრცე ერთგვაროვანი არაა, მიუხედავად ამისა, შეიძლება ვისაუბროთ მწყობრ კომპოზიციასა და სათქმელის გამოხატვის ლოგიკურ თანმიმდევრობაზე.

კუდბათა მუჰაჯირობის ისტორიას, მე-19 საუკუნის 60-იან წლებში, სამი ძმა იწყებს. ორი მათგანი აჭარაში, სოფელ ფერიაში დასახლებულა, ერთი კი თურქეთისკენ წასულა და ადაფაზარის პროვინციაში, სოფელ ყარადერეში დამკვიდრებულა. ბათუმში დარჩენილი და ოსმალეთს გადახვეწილი ძმების შთამომავლობამ მე-20 საუკუნის მიწურულსა მოძებნა ერთმანეთი, მოიკითხა ამბავი და აღადგინა ურთიერთობა.

მოთხრობის ემოციურ ფონს ქმნის აგრეთვე ქართველთა და აფხაზთა თანამედროვე ურთიერთობის ქრონიკები. მწერალი ცდილობს, ობიექტურად აწონოს ტრაგედიის მონაწილეთა სულის მოძრაობა, მხატვრულ სახეებში ჩამოასხას სიმართლე. ცხადია, ჩვენი ეპოქის ეს უდიდესი ტკივილი უცხო არ არის თურქეთელ აფხაზთათვისაც.

საკვანძო სიტყვები: მუჰაჯირობა, აფხაზი მუჰაჯირები, ანზორ კუდბა, მუჰაჯირთა შთამომავლები.

ანზორ კუდბა მე-19 საუკუნის შუა ხანებში აჭარაში დასახლებულ აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავალია. იგი ბათუმში მოღვაწეობს და მკითხველი კარგად იცნობს ორიგინალური ხელწერით გამორჩეული ავტორის შემოქმედებას. ფართოა მწერლის თხზულებებში ასახულ ეპოქათა ქრონოლოგიური ჩარჩო, აქ შეხვდებით თემატურ რკალებს უძველესი დროიდან დღემდე. შესაბამისად, მის რომანებსა და მოთხრობებში ასახულია წინარე ეპოქების თუ თანამედროვე საქართველოს პრობლემებიც, ასევე ამ პრობლემათა წინაშე მდგარი ადამიანის ურთულესი სულიერი სამყარო.

ანზორ კუდბას მოთხრობების პირველი კრებული 1986 წელს დაიბეჭდა. დღეს იგი მრავალი წიგნის ავტორია. კერძოდ, „სიცოცხლის დედა“, „ზენაქარი“, „აპოკალიფსი“, „უჟამო ჟამი“, „დროის წიგნი“, „ფიქრის სავარძელი“, „მარიამ მაგდალინელი“, „ჩრდილს ნუ მომიკლავთ“... მოთხრობა „გზა“ დაბეჭდილია 2015 წელს გამოცემულ კრებულში „დიდი წვიმის სიმფონია“; ეს მოთხრობა რეალობიდან ფაქიზად ამოკრეფილი მარცვლებისგან შედგება და აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლების, მათ შორის აფხაზთა მუჰაჯირობას და ბათუმელი აფხაზების სულის მოძრაობის არაერთ შთამბეჭდავ დეტალს ეხება.

კავკასიელი მუსლიმების მასობრივ გადასახლებათა ტალღები ოსმალეთის და რუსეთის კავკასიური ომების ერთ-ერთი ტრაგიკული შედეგია. მიგრაციათა ამ ტალღებს მუჰაჯირობას უწოდებენ. საქართველოს, კერძოდ, ქვეყნის სამხრეთის და დასავლეთის რეგიონებს - სამცხე-ჯავახეთს, აფხაზეთს, შავიზღვისპირეთს ქობულეთიდან ლაზეთის ჩათვლით - მუჰაჯირობა მწვავედ შეეხო. ეს ურთულესი პროცესი, მეტ-ნაკლები ინტენსივობით, გრძელდებოდა მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში, ასევე, მე-20 საუკუნის დასაწყისში (ჩოხარაძე, 2016: 7).

კავკასიელ მუჰაჯირთა მიგრაციის მარშრუტის ერთი შტო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოზეც გადიოდა. ბუნებრივია, ეს მეტ-ნაკლებად ეხება მუჰაჯირობის ყველა ტალღას და როგორც საზღვაო, ასე სახმელეთო გზას.

იმხანად ბათუმი, როგორც სანავსადგურო ქალაქი ერთგვარ გამანაწილებელ პუნქტსაც წარმოადგენდა. შესაბამისად, ჟამიდანჟამ აქ შედარებით ახლო რეგიონებიდან თუ შორიდან მოსული უამრავი კავკასიელი მიგრანტი იყრიდა თავს. მათ შორის იყვნენ აფხაზებიც.

აფხაზთა მუჰაჯირობის მასშტაბური ტალღები თვალსაჩინოა 19 საუკუნის 50-იანი წლებიდან. ამავე პერიოდიდან იწყება აფხაზთა დამკვიდრება აჭარაში. უკვე სამოციან წლებში ბათუმის ახლო-მახლო მათი არაერთი დასახლება გაჩნდა. სურათი რამდენადმე შეიცვალა რუსეთ-ოსმალეთის 1877-78 წლების ომის შემდგომ, როცა ბათუმი და სამხრეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი გადავიდა რუსეთის იმპერიის მფლობელობაში. ბათუმში მცხოვრები აფხაზების მნიშვნელოვანი ნაწილი მუჰაჯირობის ახალ ტალღებს გაჰყვა ოსმალეთის სიღრმეში, ნაწილიც წინა თაობის მუჰაჯირთაგან, რომლებიც გაემგზავრნენ თურქეთში და გარკვეული პერიოდი დაჰყვეს იქ, უკან დაბრუნდნენ აფხაზეთში გადასვლის იმედით. მათგან ზოგიერთი ბათუმის ახლო-მახლო დასახლდა (აფხაზები... 2018: 206).

ამდენად, აჭარაში მცხოვრები აფხაზები არიან შთამომავლები იმ მუჰაჯირებისა, რომლებიც 60-იან წლებში დასახლდნენ ამ რეგიონში, ან მათი, რომელთაც თურქეთში იცხოვრეს მუჰაჯირობის რომელიღაც ტალღას გაყოლილებმა, მაგრამ შემდეგ დაბრუნდნენ და აქ დაფუძნდნენ.

ანზორ კუდბას მოთხრობის ის ეპიზოდები, რომლებიც კუდბათა გვარის მუჰაჯირობას შეეხება სწორედ ზემოთ წარმოდგენილი რეალობის ანარეკლია. მოთხრობის ნარატივი ზეპირი ისტორიების ფრაგმენტებს ემყარება. რეალობის მხატვრული ინტერპრეტაცია წარმოდგენილია მსუბუქი ემოციით, ზედმეტი დეტალიზების გარეშე. თითქოს ავტორი ცდილობს, მკითხველს წარსულის სურათები დაუხატოს ისე, როგორც რეალურ ცხოვრებაში შემორჩა თაობათა მეხსიერებას. შესაბამისად, მხატვრული გამონაგონის მოცულობა და ფუნქცია მინიმუმამდეა დაყვანილი.

„გზა“-ში ბათუმელი აფხაზების და კონკრეტულად კუდბების ამბავს თავად ავტორი მოგვითხრობს. ამ შემთხვევაში რეალურია გარემოც, დროც და, ძირითადად,

ამბავიც. მთხრობელი წინაპრებისა და თავისი ცხოვრების შესახებ გვიამბობს. უფრო ზუსტად, ამ ცხოვრების ცალკეულ ფრაგმენტებს გვაცნობს. ფრაგმენტების დრო და სივრცე ერთგვაროვანი არაა, მიუხედავად ამისა, შეიძლება ვისაუბროთ მწყობრ კომპოზიციასა და სათქმელის გამოხატვის ლოგიკურ თანმიმდევრობაზე.

მთხრობელი მამით აფხაზია, დედით - ქართველი. ბათუმში დაიბადა და იქვე ცხოვრობს. იგი ბავშვობაშივე - თანდათან, გზადაგზა აცნობიერებს თავის ვინაობას და მისთვის ძვირფასია როგორც ქართული, ასევე აფხაზური ფესვები. ბავშვობაშივე შემოდის მის ცნობიერებაში მუჰაჯირობის ისტორია და წინაპართა მძიმე გზა - ვისთვის აფხაზეთიდან ბათუმამდე და ვისთვის - ბათუმს იქითაც - იზმითამდე თუ ადაფაზარამდე.

კუდბათა მუჰაჯირობის ისტორიას კი სამი ძმა იწყებს, სავარაუდოდ, მე-19 საუკუნის 60-იან წლებში. მთხრობელის ბიძა, ხუმუტ კუდბა, ძველების ნაამბობს იხსენებს: „გეჩბებთან და აცანბებთან ერთად ჩვენც გადმოვიხვეწეთ ჩვენ-ჩვენი მამულებიდან, დავტოვეთ ასე აფხაზეთი, ბედმა სად არ გვატარა და რის ვაივაგლახით სამმა ძმამ ბათუმამდე ჩამოაღწია. ორი მათგანი სოფელ ფერიაში დასახლებულა, ერთს კი, ქერიმს, თურქეთისკენ უქნია პირი. ...ასე დავეკარგეთ ერთმანეთს. მხოლოდ ის ვიცი, რომ ქერიმ კუდბა ასკერში გაუმწესებიათ, ბოლოს თავი დაუღწევია სამხედრო სამსახურისთვის და სოფელ ყარადერეში დამკვიდრებულა. მოუძებნია თავისი ცოლ-შვილი და კერა გაუჩაღებია“... (კუდბა, 2015: 14).

ბათუმში დარჩენილი და ოსმალეთს გადახვეწილი ძმების შთამომავლობამ მე-20 საუკუნის მიწურულსდა მოძებნა ერთმანეთი, მოიკითხა ამბავი და აღადგინა ურთიერთობა. პირველად თურქეთელი კუდბები - იბრაიმი და მუსა - ჩამოვიდნენ ბათუმში. შემდეგ ბათუმელი კუდბები ჩავიდნენ თურქეთში საქარიას (ადაფაზარის) პროვინციაში, სოფელ ქარადერეში (ყარადერეში) სტუმრობდნენ ნათესავებს. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთში კუდბები მუჰაჯირობის შემდეგ აღარ სახლობენ.

ოსმალეთს გადახვეწილი ძმის შთამომავალთა თქმით, წისქვილის ქვა არ დატრიალებულა მის თავს, თორემ სხვა არაფერი დაკლებია. როგორღაც დასახლებულა ახალ ადგილას, მაგრამ მალევე, როგორც ითქვა, ასკერში (ოსმალეთის ჯარში) გაუწვევიათ. ბევრჯერ ჩაუხედავს თვალებში სიკვდილისთვის. ბოლოს დაბრუნებულა ცოლ-შვილთან და იმდენად შეცვლილი ყოფილა, ერთი შეხედვით ოჯახის წევრებსაც ვერ უცვნიათ.

ანზორ კუდბამ მოთხრობაში „გზა“ სწორედ ამ რეალური პირის, თავისი შორეული ნათესავის, ასკერიდან დაბრუნებული ქერიმის განცდები გააცოცხლა:

„მგონი მოვედი, მახსოვს, აქ დავტოვე ცოლ-შვილი, მაგრამ რაღას მიცნობენ თითქმის ხეიბარს...“

მერე ცხენიც ეცნო ქერიმ კუდბას, ღელის პირას რომ მოვდა და ორი ბავშვიც, - ნუთუ ჩემი შვილები არიან? - შეეშინდა, ვაითუ ვერ მიცნონო.

ცხენთან მივიდა გულისფანცქალით და იცნო ცხენმა, თავი მხარზე ჩამოადო და აჭიხვინდა.

ბავშვები სოფელში გაიქცნენ და დედას ამცნეს ყველაფერი.

ისიც გამოჩნდა და შედგა გაოგნებული: „ნუთუ ქერიმია?! მაგრამ ასე რამ შეცვალა? თითქოს ქერიმია და არცაა ქერიმი...“ - ჭოჭმანობდა ქალი და შვილებს გულში იკრავდა გამეტებით.

ამასობაში ქერიმიც მიუახლოვდა შეცბუნებულ ქალსა და ბავშვებს. ცხენს მიეფერა და ენის ბორძიკით თქვა ხმადაბლა, მაგრამ მაინც გასაგონად:

- აგერ... ჩვენი ცხენი...

და ქალმა ხმაზე იცნო ქერიმი, თავისი ქმარი და შვილების მამა..." (კუდბა, 2015: 16).

რეალურ ცხოვრებაში ასკერიდან დაბრუნებული ქერიმი მალე კიდევ ერთხელ გადასახლებულა და ზემოხსენებულ ქარადერეში დაფუძნებულია: მოუძებნია საცხოვრებლად ისეთი ადგილი, სადაც ბუნება და გარემო ფუძესოფელს ჰგავდა... აჭარაში დარჩენილ ძმებსაც ამ განწყობით უძებნიათ საცხოვრებელი. პატარა ხეობაში, ფერიაში, დასახლებულან, მდინარის პირას, ისევე, როგორც აფხაზეთში...

კუდბათა 21-ე საუკუნის თაობის ურთიერთობის ეპიზოდები მოიცავს როგორც სოფელ ყარადერეს, ასევე - ბათუმს და, შესაბამისად, ფერიას.

ყარადერე (Karadere) თურქეთის რესპუბლიკაში, მარმარილოს ზღვის რეგიონში, საქარიას (ადაფაზარის) პროვინციაში მდებარეობს. კერძოდ, ჰენდექის რაიონში. რეგიონის საკმაოდ ჭრელი ეთნიკური მოზაიკის ნაწილია საქართველოდან მიგრირებულ მუჰაჯირთა შთამომავლები. მათ შორის აფხაზები. სულ ჰენდექის რაიონში 70-მდე სოფელია. ამათგან აფხაზ მუჰაჯრთა შთამომავლების სოფლები ორ ათეულს აღწევს. კიდევ უფრო მეტია ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების დასახლებები. ცხადია, ამავე რაიონში ცხოვრობენ სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებიც. ამ თვალსაზრისით სოფლების უმრავლესობა შერეულია (ჩოხარაძე, 2016: 98).

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთსა და საქართველოში (აჭარაში) მცხოვრებმა კუდბებმა, ასე თუ ისე, იცოდნენ სამი ძმის ამბავი, ისინი მაინც დაკარგულები იყვნენ ერთმანეთისთვის. მეოცე საუკუნეში, ხრუმჭოვის ე.წ. დათბობის პერიოდში, ძმათა შთამომავლებს ჰქონდათ კომუნიკაციის მცდელობაც, თუმცა ურთიერთობათა სტაბილიზაციის შესაძლებლობა მაშინ არ იყო... რაც შეეხება 21-ე საუკუნის რეალობას, მოთხრობაში შთამბეჭდავი ემოციის თანხლებით არის გადმოცემული შეხვედრები თურქეთსა და საქართველოში: კუდბებმა ელექტრონულ სივრცეში მოძებნეს ერთმანეთი. მალე, როგორც აღვნიშნეთ, იბრაიმ და მუსა თავანები (ამ გვარს ატარებენ ისინი თურქეთში) ბათუმში ჩამოვიდნენ. სიმბოლურია თითქოს: მათთან ერთად იყო ქართველ მუჰაჯირთა შთამომავალიც, ნური ალმასი, წინაპართა გვარით აბაშიძე. ამაღელვებელ შეხვედრათა თანხმლებ ემოციებზე, ცრემლიან მოგონებებზე... აღარაფერს ვიტყვი. სწორედ ამის შემდეგ ეწვია პირველად მწერალი თავის ნათესავებს თურქეთში, საქარიას პროვინციაში.

ბათუმში ყოფნისას სტუმრები ესწრებოდნენ კონფერენციას, რომელიც ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს ეხებოდა. კონფერენციის ერთგვარი გაგრძელება იყო მუჰაჯირობის დღის აღნიშვნა.

მაისის მიწურულს კავკასიელ მუჰაჯირთა შთამომავლები მთელ მსოფლიოში აღნიშნავენ ხოლმე მუჰაჯირობის დღეს. ისინი იხსენებენ მიგრაციათა ეპოქას - იმპერიათა პოლიტიკის ტრაგიკულ შედეგებს. მაშინ უამრავი ადამიანი დაიღუპა - მგზავრობის თუ ახალ მიწაზე დამკვიდრების პროცესში. განსაკუთრებული ტკივილი ახლავს გემით მგზავრობის ნარატივებს. სწორედ ამიტომ სხვადასხვა ქვეყანაში გაბნეული კავკასიელები თავს იყრიან ზღვებთან, მდინარეებთან, ტბებთან და წინაპართა ხსოვნისთვის წყალში ყვავილებს ყრიან. ბათუმში ყოფნისას მოთხრობელი და მისი სტუმრები კატარღით გავიდნენ ზღვაში და დაღუპულთა სულის მოსახსენიებლად ყვავილების თაიგული ჩაუშვეს ზღვაში. „ასე მოვიხადეთ ჩვენ ჩვენი ვალი სვებდგამწარებული წინაპრების წინაშე“, -დასძენს ავტორი (კუდბა, 2015: 19).

კუდბათა ურთიერთობის ახალი ფურცელი იყო თურქეთში შეხვედრები, მათ შორის ყარადერეში - ქერიმის შთამომავალთა ფუძესოფელში. იქ, 2011 წლის 3

ივლისს, მთხრობელი დაესწრო გვარის დღესასწაულს. მთავარი მასპინძელი მაინც გვარის უზუცესი ოთხმოცდარვა წლის იაჰიაჰ კუდბა იყო. სწორედ მან გადაწყვიტა, რომ სანამ მრავალრიცხოვანი სტუმრები და მასპინძლები ვახშმად დასხდებოდნენ, საგვარეულო სასაფლაოზე გასულიყვნენ.

მთხრობელი აღნიშნავს, რომ თურქეთში მცხოვრები კუდბები სხვადასხვა გვარს ატარებენ. ესენია: თავანი, საჰკოლი, შენონი და აქურტი. ეს არის შედეგი რესპუბლიკური თურქეთის ნაციონალურ პოლიტიკასთან დაკავშირებული ობიექტური რეალობისა. გვართან დაკავშირებული რეფორმების პერიოდში (იგულისხმება ოცინი წლები მეოცე საუკუნისა) დაუშვებელი იყო ტრადიციული, ნაციონალური გვარის გაფორმება. შესაბამისად, იქმნებოდა ახალი გვარები, რომელთა ფორმულირება ეფუძნებოდა თურქულ ენას.

ამ განმარტებას კავშირი აქვს საგვარეულო სასაფლაოზე გასვლის ეპიზოდთან (აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ეპიზოდი მთხრობელთან, ანუ მოთხრობის ავტორთან განსჯის საგნადაც იქცა. შესაბამისად, მხატვრულ ინტერპრეტაციასთან ერთად მსჯელობისას ობიექტური რეალობის გათვალისწინების შესაძლებლობაც გვაქვს). საქმე ისაა, რომ საფლავის ქვაზე თანამედროვე გვართან ერთად ეწერა ძველი გვარიც - კუდბა. შესაბამისად, გასაგებია შინაარსი იაჰიაჰის ტკივილიანი სიტყვებისა, მიცვალბულთა გასაგონადაც რომ ითქვა: „აქ ყველა კუდბა ხართ, ვკვდებით და ჩვენეულ ჭეშმარიტ გვარს ვიბრუნებთ“.

„გვარდაბრუნებულებს ეძინათ მშვიდად“, - სევდიანად დასძენს მთხრობელი...

თურქეთის რომელიღაც შორეულ სოფელში ამგვარი წარწერები საქართველოდან ჩასულისთვის დიახაც შთამბეჭდავია და უკიდევანო სევდის წყარო. ძნელი სათქმელია, პირველად როდის, ვინ და სად გადაწყვიტა, საფლავის ქვაზე წინაპართა გვარიც რომ მიეწერა. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი ტენდენცია დამახასიათებელია კავკასიელი (და, იქნებ, არა მხოლოდ კავკასიელი) მუჰაჯირების შთამომავალთათვის... ჩვენ, სხვადასხვა წლებში გვქონდა შესაძლებლობა, გვენახა სიკვდილის შემდეგ „დაბრუნებული“ გვარები. პირველად - თოქათის პროვინციის ნიქსარის რაიონის ქართულ სოფელ ოლუქლუში. შემდეგ - სხვაგანაც. მათ შორის, აფხაზების სოფელ აქბალიქში (საქარიას პროვინცია, აქიაზის რაიონი). შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ გასაგებია და ნაცნობია ბათუმელი მწერლის ნამბოზში ესოდენი ტკივილით ჩაწული ემოციაც...

მოთხრობის ემოციურ ფონს მხოლოდ აფხაზთა მუჰაჯირობის ქრონიკები როდი ქმნის. რაკილა ანზორ კუდბას შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი თემა ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობაა, მის არაერთ რომანში ჩანს დაპირისპირებათა სისხლიანი სურათებიც. მწერალი ცდილობს, ობიექტურად აწონოს ტრაგედიის მონაწილეთა სულის მოძრაობა, მხატვრულ სახეებში ჩამოასხას სიმართლე. „აფხაზეთი ჩემი ოცნება - ჩემი მშობლიური მხარე; საქართველო - ჩემი სიცოცხლე და მარადი ფიქრი, აფხაზეთი - ტკივილი ჩემი და საქართველო - დიდი სატკივარი“ - აცხადებს ანზორ კუდბა და ეს სიტყვები მთელი მისი შემოქმედების განწყობას იტევს... (აფხაზები... 2018: 225).

გამომახილი აღნიშნული თემატური რკალებისა „გზაშიც“ თვალსაჩინოა. ცხადია ჩვენი ეპოქის ეს უდიდესი ტკივილი უცხო არ არის თურქეთელ აფხაზთათვისაც. საზოგადოდ, საქართველოში მიმდინარე პროცესების მიმართ მათი დამოკიდებულება არაერთგვაროვანია, თუმცა, ბევრისთვის იაჰიაჰის პოზიციაც მისაღებია. მოთხრობის მიხედვით იგი ამბობს: „ჩემი უსპეტაკესი სურვილია, რომ შერიგდნენ აფხაზები და ქართველები, ასე უბრად ყოფნა ავნებს ქართველსაც, ავნებს აფხაზსაც“.

ბუნებრივია, უფრო მკაფიოდ ჩანს ბათუმელ აფხაზთა დამოკიდებულება: აჭარა ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი წერტილია, „აჭარაში ქართველთა და აფხაზთა ერთად ყოფნა უმშვენიერესი მაგალითი და ნიმუშია ორი ხალხის კი არა, ერთი ძმური ხალხის ჭირ-ლხინის განუყოფლობისა“... წერდა ფრიდონ ხალვაში (ხალვაში, 2010: 236). ბათუმში მცხოვრებ აფხაზებს არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ აჭარამ აფხაზები მიიღო როგორც საკუთარი შვილები და ამგვარი დამოკიდებულება გაგრძელდა უხინჯოდ. ეს განწყობა თვალსაჩინოა ანზორ კუდბას მთელ შემოქმედებაშიც და, კონკრეტულად საანალიზო მოთხრობაშიც. შესაბამისად, იმედით სავსე მომავალზე საუბარიც მოტივირებულია.

მოთხრობაში ავტორი რამდენიმე მოკლე, მაგრამ შთამბეჭდავი ქრონიკის სახით წარმოგვიდგენს თანამედროვე რეალობის ფრაგმენტებს. ეს ქრონიკები ჩანს საქართველოშიც და თურქეთშიც, სოფელ ყარადრეში, კუდბათა სამყოფელში...

ემოციურ ჩანაწერთა შორის უპირველესად უნდა მივუთითოთ საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ ნაბიჯებზე და იმაზე, რომ მოთხრობელი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელისმომწერთა შორისაა:

„ღმერთმაც მოწყალე თვალთ გადმოგვხედა და ასე ჩამოდგა 1990 წლის 28 ოქტომბერი - აღსრულდა ქართველი ერის ნება: არჩევნებში ქართულმა ეროვნულმა ძალებმა გაიმარჯვეს და მე - ანზორ კუდბა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს დეპუტატი ვარ, 1991 წლის 9 აპრილს კი ხელს ვაწერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს:

ეს მე ვარ ტატიანა მასწავლებლო, ანზორ კუდბა - აფხაზი ბიჭი, რომელსაც ამიხილეთ ერთხელ თვალები და სინამდვილეს მაზიარეთ, რომ ჩემში ორი ერის, აფხაზისა და ქართველის სისხლი ჩქეფდა და მე ვიყავი სრულიად საქართველო, ერთიანი, მთლიანი, რომელიც უნდა გაბრწყინებულიყო“ (კუდბა, 2015: 13).

ამის შემდეგ ავტორი ეხება ძმობის კვლევას. აქ კიდევ ერთხელ უნდა ვთქვათ, რომ ანზორ კუდბას ბელეტრისტიკა, თვალნათლივ წარმოაჩენს მწერლის არსებაში ჩაკირულ ტკივილსაც. ტკივილი კი, როგორც შემოქმედის სულის ნაწილი, პირველივე თხზულებებიდან მოდის და შემდეგ დაუსრულებლად გრძელდება სხვა ნაწარმოებებშიც, როგორც ერთი მთელის, ერთი ფიქრის სხვადასხვა ფრაგმენტი, რომელთაც ცალკეული თხზულებების წიგნებად გამოცემის თარიღთა შესაბამისად აჩნია დროის ნაჭდევები...

„...და როცა აფხაზის ხელით კვდებოდა ქართველი, კვდებოდა ჩემში ქართველი.

კლავდა ქართველი აფხაზს და აფხაზი კვდებოდა ჩემში...,

ჰოდა ვკვდებოდი და აღარც ვკვდებოდი მე - სრულიად საქართველო“ ... ასე გამოხატავს სულის ტკივილს მწერალი „გზაში“.

მწერალი დარწმუნებულია, რომ გადარჩენის, ერთობის გზა არსებობს და ადამიანურ ვალდებულებებზე მიუთითებს, როცა, ერთ-ერთ ინტერვიუში გადამბრუნებული ურმის მეტაფორას იხსენებს:

„ურემი გადამბრუნებულია და მოჩანს გზა. რა ქნას მეურმემ?

პასუხი: შეეხება უღელში“.

მაშასადამე, თუ გზა მოსჩანს - უღელში შევბა ერთადერთი საშველია! ცხადია, მწერლის პასუხიც მეტაფორაა და რეალურ ცხოვრებაში სხვადასხვანაირი კონკრეტული მოქმედებით შეიძლება გამოიხატოს, მითუმეტეს, რომ ადამიანები ძალიან ხშირად წინააღმდეგობათა გადალახვის რადიკალურ ფორმას ირჩევენ და თვალს არიდებენ ქრისტესმიერ გზას, მაგრამ მწერალმა ასეთი გზა დაინახა და აირჩია, რადგან ასე სწამს და მისი იმედიც ქართველთა და აფხაზთა მომავალი ურთიერთობის

შესახებ, ამ რწმენას ემყარება...

მწერალი იხსენებს, როგორ მიიწვიეს აფხაზები საპატრიარქოში, იხსენებს უდიდეს სულიერ სიბრძნეს და სიყვარულს, იხსენებს პატრიარქთან შეხვედრას ბათუმშიც და საყოველთაო ნათლობას ქართველებისა და აფხაზებისას... იხსენებს ამ ყველაფერს და წერს:

„და თუ ღმერთმა ინება, აფხაზეთსაც ეწვევა ჩვენი პატრიარქი, დაამწყალოებს იქაურობას, დაამოშმინებს და სიყვარულის თესლსაც მიმოაბნევს დღეს ასე გაუცხოებულ მიწაზე. გაღვივდება ის თესლიც ღვთის წყალობით, იხარებს და ნაყოფსაც გამოიღებს სიკეთითა და სიყვარულით შეზავებულს.

...ყოველივე ამის თქმა მომინდა დღეს და მჯერა, რომ გაღვივება ჩვენს შორის ჩამოწოლილი ყინული, გადნება და ცხოველი მდინარეც ყველა თავისი შენაკადითურთ გააგრძელებს თავის ჩვეულ გზას.

უფაღს ასე სურს და წინ რა დაუდგება მის ნება-სურვილს“ (კუდბა, 2015: 24).

ლიტერატურა:

აფხაზები... (2018). აფხაზები აჭარაში, წარსული და თანამედროვეობა. მონოგრაფია. ავტორები: ჯემალ კარალიძე, მალხაზ ჩოხარაძე, რევაზ დიასამიძე, ნატალია ლაზბა, მარინე შალიკავა, რამაზ სურმანიძე, ქეთევან შოთაძე, მანანა თავდგირიძე, მარიამ ჩოხარაძე, თენგიზ თავდგირიძე. ბათუმი. გამომცემლობა „სამშობლო“.

კუდბა, ა. (2015). დიდი წვიმის სიმფონია. ბათუმი. გამომცემლობა „გამომცემლობა აჭარა“.

ჩოხარაძე, მ. (2016). ქართული ენის გეოგრაფია თურქეთში. მონოგრაფია. ბათუმი: გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.

ხალვაში, ფ. (2010). ომრი. ბათუმი. გამომცემლობა „გამომცემლობა აჭარა“.

Fictional text and chronicles of the life of Abkhazian Muhajirs from Batumi to Adapazari

(Anzor Kudba's story “The Road”)

Chokharadze Malkhaz

Batumi Shota Rustaveli State University, Batumi

Abstract. Anzor Kudba is a descendant of the Abkhazian emigrants who settled in Adjara in the mid-19th century. The writer's novels and stories reflect the problems of previous eras and modern Georgia, as well as the difficult spiritual world of a person faced with these problems.

The story “The Road” was published in the collection “The Symphony of the Great Rain” published in 2015; this story concerns the lives of the descendants of the Abkhazian emigrants, including the Abkhazians of Batumi. The narrative of the story is based on fragments of oral histories. The artistic interpretation of reality is presented with light emotion, without excessive detailing. It is as if the author is trying to portray to the reader images of the past as they have survived in real life in the memory of generations. Accordingly, the volume and function of artistic fiction are minimized.

In “The Road”, the author himself tells the story of the Abkhazians of Batumi, and specifically the Kudbas. In this case, the setting, time, and, mainly, the story itself are real. The narrator tells us about his ancestors and his life. More precisely, he introduces us to individual fragments of this life. The time and space of the fragments are not uniform, but nevertheless, we can talk about an orderly composition and a logical sequence of expression of what is said.

The story of the Kudba's emigration begins in the 1960s with three brothers. Two of them settled in the village of Peria in Adjara, and one turned his head towards Turkey and settled in the village of Karadere in the Adapazari province. The descendants of the brothers who remained in

Batumi and fled to the Ottoman Empire found each other only at the end of the 20th century, retold their story, and restored their relationship.

The emotional background of the story is also created by chronicles of contemporary relations between Georgians and Abkhazians. The writer tries to objectively weigh the movement of the souls of the participants in the tragedy, to pour the truth into artistic faces. The echo of the mentioned thematic arcs is also visible in „The Road”. Obviously, this greatest pain of our era is not alien to the Abkhazians in Turkey.

Key words: Muhajirism, Abkhazian Muhajirs, Anzor Kudba, descendants of the Muhajirs.